სსიპ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბრძანება
24.10.2017 N 199
თბილისი

წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის)
ვაკანტურ ადგილებზე არჩევნების
დანიშვნის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-10 მუხლის, „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის მართვის ორგანოების (მმართველი სუბიექტების) არჩევნების ჩატარების შესახებ" დებულების (შემდეგში - არჩევნების ჩატარების საუნივერსიტეტო დებულება) მე-12 მუხლისა და სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 18 ოქტომბრის #2618 დადგენილების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) ვაკანტურ ადგილებზე სენატის დარჩენილი უფლებამოსილების ვადით ასარჩევ წევრთა არჩევნები დაინიშნოს 2017 წლის 14 ნოემბერს.
2. არჩევნები გამოცხადდეს წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) შემდეგ ვაკანტურ ადგილებზე ფაკულტეტების მიხედვით:
   ა) სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი – 1 ვაკანტური ადგილი სტუდენტებისთვის;
   ბ) ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი – 1 ვაკანტური ადგილი სტუდენტებისთვის;
   გ) საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი – 2 ვაკანტური ადგილი აკადემიური პერსონალისთვის და 1 ვაკანტური ადგილი სტუდენტებისთვის;
   დ) სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტი – 1 ვაკანტური ადგილი სტუდენტებისთვის;
   ე) ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტი – 2 ვაკანტური ადგილი სტუდენტებისთვის;
   ვ) არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი – 1 ვაკანტური ადგილი სტუდენტებისთვის;
3. წარმომადგენლობით საბჭოში (სენატში) ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის წარმომადგენლებს ირჩევს შესაბამისი ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის ყველა

წევრი, ხოლო სტუდენტების წარმომადგენლებს - ფაკულტეტის ყველა სტუდენტი, მათ შორის დოქტორანტი. ასისტენტი, რომელიც იმავდროულად არის დოქტორანტი, არჩევნებში მონაწილეობს როგორც სტუდენტი. ამასთან, იგი უფლებამოსილია, საკუთარი სურვილით, მონაწილეობა მიიღოს შესაბამისად, ან აკადემიური პერსონალის ან სტუდენტთა წარმომადგენლების არჩევაში, რისთვისაც იგი ვალდებულია წინასწარ, არა უგვიანეს 2017 წლის 1 ნოემბრისა წერილობით აცნობოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციას ამომრჩეველთა შესაბამის სიაში რეგისტრაციის მიზნით.

4. წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) წევრად არ შეიძლება არჩეულ იქნეს ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის წარმომადგენლები, აგრეთვე აკადემიური საბჭოს წევრები.

5. კანდიდატთა რეგისტრაცია დაიწყოს 2017 წლის 1 ნოემბერს და დასრულდეს 2017 წლის 7 ნოემებრს.

6. კანდიდატებმა განცხადება უნდა შეიტანონ ფაკულტეტის საარჩევნო კომისიაში. განცხადებას თან უნდა დაერთოს:

ა) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (პ/მოწმობის, პასპორტის) ასლი;

ბ) ცნობა ტექნიკური უნივერსიტეტის შესაბამის ფაკულტეტებზე დაკავებული აკადემიური თანამდებობის/უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის შესახებ.

7. ფაკულტეტის საბჭოებმა უზრუნველყონ საარჩევნო კომისიების შექმნა და არჩევნების ჩატარების საუნივერსიტეტო დებულებით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება.

8. უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ უმოკლეს ვადებში უზრუნველყოს საარჩევნო სიების წარდგენა ფაკულტეტის საარჩევნო კომისიებისათვის და არჩევნების ორგანიზებისა და ჩატარებისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

9. არჩევნები ჩატარდეს შესაბამის ფაკულტეტებზე, არჩევნების ჩატარების საუნივერსიტეტო დებულების შესაბამისად.

10. არჩევნების შედეგები გამოქვეყნდეს არჩევნების დამთავრების შემდეგ თვალსაჩინო ადგილზე და განთავსდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე.

11. ბრძანება განთავსდეს უნივერსიტეტის კორპუსებში თვალსაჩინო ადგილებზე და უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე.

12. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნების დღიდან.

რექტორი / *ა. ფრანგიშვილი*

ვიზა:

სამართლებრივი უზრუნველყოფის
დეპარტამენტის უფროსი: *ბ.მაისურაძე*